

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N 8

ხაშური

2018 წლის 28 მარტი

14-00 სთ

სხდომის თავმჯდომარე ანა ხარებავა - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები: ცოტნე ნოზაძე, იმედა მეტრეველი, ნატო კიკაძე, ნოვე ტაბატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ : საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტები- მურმან
ცენგერაშვილი, თეა ჯაფარაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ : საკითხის განხილვაზე მოწვეულები: ხაშურის
მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დავით
ღვალაძე, ამავე სამსახურის უფროსი სპეციალისტები-ირინე ფერაძე, მაკა ნოზაძე, ნატო
ხრიკული.

მერის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძე .

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 5 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის
ანგარიში 2018 წლის იანვარ, თებერვალსა და მარტში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხს. დავით ღვალაძე

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი პროექტით წარმოდგენილი სახით.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დავით ღვალაძის ინფორმაცია ამავე სამსახურის მიერ 2018 წლის იანვარ, თებერვალსა და მარტის თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

წარმოდგენილ საკითხზე მომხსენებელს კითხვები დაუსვეს: ანა ხარეზავამ, ნატო კიკაძემ, თეა ჯაფარაშვილმა.

აზრი გამოთქვეს: იმედა მეტრეველმა, ნოვე ტაბატაძემ, ანა ხარეზავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0)

კომისიამ გადაწყვიტა: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დავით ღვალაძის ინფორმაცია ამავე სამსახურის მიერ 2018 წლის იანვარ, თებერვალსა და მარტის თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

ინფორმაცია თან ერთვის

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე

ანა ხარეზავა

5. 